



საორბოლო სურნალი

საორბოლო



სოლომონ გულინაშვილი

3 სსსრული მოსდა.
სსსრული არ მოსდა...

ვაკუნა კეღია

9 მიუნხენის
ბრავიანტი

10 შესარჩევი
მატჩები 
შედეგები და სტატისტიკა

ვაკუნა კეღია

11 გველუშაძე
გლაზგოს
გზაზე 

სოსო კოტორეიშვილი

16 საქართველო
ფინგურტს
გაეგუტა

ირაკლი გამყრელიძე

18 კიდე
ერთი თასი

დავით გულუა

20 შუბის გეოტსა
სეაური

დავით გულუა

21 მესაგება და
პირველი გოჭავი

მირაბ რატიშვილი

24 ვაა სისკა

8 გვერდი. კახა კალაძე REUTERS

14-15 გვერდი. დევიდ ბექემი და მაიკლ ოუენი REUTERS

I უტევს საქართველოს ნაკრების თავდასხმელი ალექსანდრე იაშვილი (ბადრი კეთილაძის ფოტო)

II საპაერო ბრძოლა საქართველოს და უნგრეთის შეხვედრაში (ბადრი კეთილაძის ფოტო)

III ისლანდიელი ჭოკით მტომელი ედა ელისდოტირი REUTERS

IV 2001 წლის ევროპის სუპერთასის მფლობელი „ლივერპული“ REUTERS



რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი

რედაქტორის მოადგილე
სოსო კოტორეიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
დავით ნადირაშვილი

სტილისტი ცისანა ნიკოლაიშვილი

ოპერატორი ელენე გალუტაშვილი

მრჩეველთა საბჭო:
ვანტანგ ზზიკაძე, შამუკა გუბელაძე,
სოლომონ გულინაშვილი,
ავთანდილ გურასაშვილი,
ემზარ ზენაიშვილი, ზურაბ ფოცხვერია

პაპი სარბიელის დაგეგმა

რეკლამა შურნალ «სარბიელში» – 93 16 08



სასწაული მოხდა, სასწაული არ მოხდა...

სოლომონ გულისაშვილი

ბადრი კითილაძის ფოტოები

საქართველოს ნაკრებმა ხუთ დღეში ორი შესარჩევი მატჩი მოიგო, ხუთი ბურთი გაიტანა და მხოლოდ ერთი გაუშვა. ამ ხუთიდან სამი გერმანული „ფრაიბურგის“ 24 წლის თავდამსხმელის, ალექსანდრე იაშვილისა იყო, რომელიც ყიფიან-ძიძუაშვილის გუნდში რატომღაც ვერ სვებოდა.

თუ ლუქსემბურგსაც მივათვლით, ზედიზედ სამი თამაში ჩვენს ეროვნულ გუნდს 1998 წლის მალტის ტურნირის მერე აღარ მოეგო. „ლოკომოტივის“ ახალი სტადიონი კი კარგად დაებედა. იღბლიანი გამოდგა ალექსანდრე ჩივაძის დაბრუნებაც...

მაინც რა ცოტა სჭირდება ადამიანს. ნაუნერეთევს სტადიონიდან მომავალი ხალხის უმრავლესობა ალაღად ხარობდა — ასეთი სიამოვნება კარგა ხანია აღარ მიგვიღიაო, გაიგონებდით აქეთ-იქიდან. ნალიტვევს კი თან ბედნიერი და თანაც ჩაფიქრებული სახეები ჰქონდათ: „თორმეტის თხუთმეტ წუთზე უნგრეთ-რუმინეთი იწყება. რომელიმე არხს მაინც ეჩ-



ალექსანდრე იაშვილმა ორ მატჩში სამი გოლი გაიტანა

გიორგი დემეტრაძე ორივე თამაშში შეუპოვარი იყო






ლევან კობიაშვილი (№2) და უნგრელი პეტერ კაბატი

გიორგი ქინქლაძემ ლიტველ ტომას რაუანაუსკას ბურთი დაუბაღა

ქართველთა სიხარული უნგრეთთან
გონა ჯამარაულის გოლის მერე



ვენებინა. წარმოგიდგენია, რუმინეთმა რომ წააგოს? მერე ეგებ პლეი-ოფშიც მოვხვდეთო. ასეთ ლაპარაკს ყოველ ნაბიჯზე შეესწრებოდით.

სასწაული არ მოხდა. რუმინეთმა უნგრეთს მოუგო და ჯგუფში უცებ გაჩენილი ვითომ ინტრიგაც უცებვე მოისპო. ვიყოთ გულწრფელნი, ჩვენი გუნდი ამ ჯგუფიდან გასვლას არ იმსახურებდა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ციკლის ბოლოს ხალხი საქართველოს ნაკრების ფეხბურთეზე აღაპარაკდა. მერე, როცა „მინდისფერთა“ ავტობუსმა ვაკის პარკთან წრე დაარტყა და საბურთალოსკენ გასწია, რამდენიმე მყვარალა მანქანა საპატოლესკორტივით აუდევნა. ამ მანქანებიდან მხიარული ჟრიაბული ისმოდა, ერთიდან კი საქართველოს დროშაც გამოვირიალებინათ...

უნგრეთთან მოგების შემდეგ ალექსანდრე ჩივაძემ თქვა, პლეი-ოფში მოხვედრის მცირე შანსი კიდევ გვაქვს და სანამ შანსია, უნდა ვიბრძოლოთო. იბრძოლეს კიდევ და შედეგიც მოიმკეს, მაგრამ მანამდე ჭაობში ძალიან ღრმად შეეტოპათ და იქიდან გამოსვლა იოლი ვეღარ გამოდგა.

უდავოა, ჩივაძემ ეროვნულ გუნდს თავისებური ფერები შესძინა. უფრო შეტევისკენ მომართა და თითქოს უწინდელთან შედარებით ლაღადაც ათამაშა. მისმა ტაქტიკურმა სქემამ (3-5-2) ორივე მატჩში გაამართლა, თუმცა ტაქტიკაც არის და ტაქტიკაც...

შეიძლება კი ამის მერე შინდისფერთა კრიზისის დასასრულზე ვილაპარაკოთ? ალბათ, არა, რადგან ხელის ერთი მოსმით ვერც ჩივაძე და ვერც სხვა ნებისმიერი სასწაულს ვერ მოახდენს. კარგ გუნდს დრო და დიდი მუშაობა ჩამოაყალიბებს. ჩვენ კი გვერია, რომ ნაკრებს რაღაც ახალი და დღევანდელი კიდევ ბევრი სჭირდება.


ეს ორი მატჩი ქართველებმა უფრო მონდომებით მოიგეს და თუ გუნდურობას ვახსენებთ, ეს გუნდურობა მიზანსწრაფვაში მეტად გამოიხატებოდა ვიდრე ტაქტიკურ სიმწყობრეში. საბოლოოდ ყველაფერი ისევ ფეხბურთელების ინდივიდუალურ ოსტატობაზე ტყდებოდა და შეცდომებიც უამრავი დაუშვით, რაც ჩივაძემაც აღნიშნა.

ახლა ჩივაძის ერთგვარ სიახლეებზე ვთქვათ. თუმცა ზოგიერთი სიახლედ არც ჩაითვლება. მაგალითად ის, რომ უნგრეთთან ქინქლაძე და ჯამარაული პირველი წუთიდან ერთად თამაშობდნენ. ჩივაძე ხომ მათ პირველმწვრთნელობისასაც ენდობოდა.


კვლავ გამოჩნდა ლევან ცქიტიშვილი. ჩივაძემ ნაკრებში ის ჯერ კიდევ ექვსი



დგანან: ტამაშ პეტო, დიორდ კორსოში, ფერენც ჰორვატი, იანუშ მათიუში, ვილმოშ შებოკი, ვაბორ ჰალმაი; სხედან: ბელა ილეში, პეტერ კაბატი, კრისტიან ლისტეში, ვაბორ კირალი, ატილა კორსოში




მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი
1 სექტემბერი, თბილისი
ლოკომოტივი
12 000 მსმრჩეველი




საქართველო 3:1 უნგარი

1:0 შ. არველაძე (35), 1:1 მათიუში (43), 2:1 ჯამარაული (50), 3:1 იაშვილი (64)
საძარბაშო: გვარამაძე, ხიზანიშვილი, რეხვიაშვილი, კალაძე, კობიაშვილი, ცქიტიშვილი (საჯაია 73), ნემსაძე, ჯამარაული, ქინქლაძე, ყაველაშვილი (იაშვილი 46), შ. არველაძე (დემეტრაძე 62)
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე
უნგრეთი: კირალი, დ. კორსოში, პეტო, მათიუში, შებოკი, ჰალმაი (დარდაი 59), კაბატი, ლისტეში, ჰორვატი (ტოკოლი 62), ილეში (ლენდვაი 67), ა. კორსოში
მწვრთნელი: ბერტალან ბიჩკვი
ბაფრთხილობა: პეტო (22), რეხვიაშვილი (42) ა. კორსოში (42), ლისტეში (56), ჰალმაი (58), რეხვიაშვილი (65), დემეტრაძე (89)
მსაჯი: რეხვიაშვილი (65)
მსაჯი: დ. კოში (სლოვენია)



მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი
5 სექტემბერი, თბილისი
ლოკომოტივი
18 000 მსმრჩეველი



საქართველო 2:0 სლოვენია

1:0, 2:0 იაშვილი (82, 84)
საძარბაშო: გვარამაძე, საჯაია, ხიზანიშვილი, კალაძე, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ნემსაძე, ალექსიძე (ბურდული 67), ქინქლაძე, იაშვილი (შ. არველაძე 89), ყაველაშვილი (დემეტრაძე 46)
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე
ლიტვა: სტაუჩე, ჯიაუკშტასი, სტანკევიჩიუსი, გლევეცკასი, შკარბალიუსი, მორინა-სი, რ. შუტაუტასი, მიკალაიუნასი, შემბერასი, რაჟანაუსკასი (ინანაუსკასი 86), პოშკუსი
მწვრთნელი: ბენიამინას ზელკიავიჩუსი
ბაფრთხილობა: პოშკუსი (45), მიკალაიუნასი (70), შუტაუტასი (75)
მსაჯი: პ. იაკობი (იზრაელი)

დგანან: რაიმონდას შუტაუტასი, ვინტარას სტაუჩე, ტომას რაჟანაუსკასი, როლანდას ჯიაუკშტასი, მარიუს სტანკევიჩიუსი, დაინიუს გლევეცკასი; სხედან: ივორის მორინასი, საულიუს მიკალაიუნასი, რობერტას პოშკუსი, აურელიუს შკარბალიუსი, დევიდას შემბერასი





გონა ჯამარაულმა (№9) უნგრელებს ბევრი თავსატეხი გაუჩინა

წლის წინ გამოიძახა და 18 წლისას, კარდიფში, უელსის წინააღმდეგ პირველად ჩააცვა ეროვნული გუნდის მაისურა. მოულოდნელი ის იყო, რომ უნგრეთთან „ცაცია ცქიტო“ მწვრთნელმა მარჯვენა ნახევარმცველად გაამწესა. ამ უჩვეულო დავალებამ ჩვენი ფრაიბურგელი თავიდან თითქოს შებოჭა და ის იყო ტრიბუნებზე ალაპარაკდნენ, არა-არა, ცქიტოს ადგილი მარცხნივ არისო, რომ ისეთი რამ გააკეთა, გულშემატიკვრებს ძალიან დიდ ხანს ემახსოვრებათ — ორი მცველი ორიგინალური ფინტით მოატყუა, და ახალგაზრდა ვოვა გუცაევი გაგვახსენა. მერე ამას გამოზომილი პასიც მიაყოლა და შოთა არველაძეს პირველი გაატანინა.

მარჯვნივზე დაიწყო ლიტვასთანაც და ამ დავალებას ასრულებდა მანამ, სანამ მინდორზე „მემარჯვენე“ ლაღო ბურღული არ გამოიყვანეს, ხოლო ლევანი „თავის“ მარცხენა ფრთას დაუბრუნეს.

სხვათა შორის, 20 წლის დინამოელი ბურღულიც ნაკრებში საშა ჩივაძემ მიიწვია. მისი დებოუტი სულ ახლახან, ლუქსემბურგთან მატჩში შედგა.

ქინქლაძე და ჯამარაული ერთი სტილის ფეხბურთელები არიან და მათი ერთად თამაში გუნდისთვის დიდი ფუფუნებააო. გახსოვთ, ალბათ ეს სიტყვები.

მაგრამ როცა გული გულობს, საქმე ორი გამოძახებლითაც კეთდება. წინა ხელმძღვანელობისგან დაწუნებულმა ჯამარაულმა ჩინებული ბურთი გაუტანა უნგრელებს, ლიტვასთან მატჩის წინ კი მოიწამლა და თამაშს სათადარიგოთა სკამიდან უცქირა.

გიორგი ქინქლაძემ ძველი ვიო გაგვახსენა. უნგრეთთან ხომ ისეთი პასები არივა, გაუტანლობა საცოდაობა იყო. თანაც ბევრს მოძრაობდა და დაცვასაც ეხმარებოდა. ლიტვასთან კი ნავსი მისი სწრაფი გარღვევის შემდეგ გატყდა — მარჯვენა ფრთაზე რამდენიმე ლიტველს ოსტატურად დაუსხლტა, საჯარიმოშიც დროულად ჩააწოდა და იქ მცირე არეულობის მერე იაშვილმა პირველი შეაგლო. სამჯერ კი მისი წაქცევისთვის მოწინააღმდეგის კარის სიახლოვეს ძალიან სახიფათო საჯარიმოები დაინიშნა, მაგრამ ჩვენებმა გასატანი ვერ გაიტანეს.

ჩივაძის კიდევ ერთი კოზირი იაშვილდემეტრადის წყვილი გახლდათ. პატარა დემემ ახმახ უნგრელ მცველებს სამასხაროდ გაუხანდა საქმე და გულდასაწყვეტია, რომ ესპანეთს უგოლოდ გაბრუნდა.

დემეტრადე და იაშვილი ის ფეხბურთელები გამოდგნენ, უნგრეთთან მატჩში

გარდატეხა რომ შეიტანეს. ვერცხლისწყალივით მოძრაება ამ ორმა თავდამსხმელმა სტუმრებს თავგზა აუბნია. აკი თქვა კიდევ თამაშის მერე უნგრელთა მწვრთნელმა ბერტალან ბიჩკიმ, თბილისში სულ სხვა საქართველო დამხვდაო და უპირველესად იაშვილ-დემეტრადე ახსენა.

და კიდევ ჩვენებმა ხელოვნური თამაშგარეს შესრულება გაიხსენეს. ამ ფანდზე რამდენჯერმე უნგრელებიც წამოეგნენ და ლიტველებიც, თუმცა ერთხელ ქართველებმაც იზარალებს. იმ ეპიზოდს ვგულისხმობთ, როცა უნგრელებმა გაათანაბრეს. მასწინძლებს აშკარად თამაშგარეს მოწყობა სურდათ, მაგრამ არ გამოუვიდათ და მათიუში თავისუფლად გაძვრა გვარამაძისკენ. ჩვენი მცველები კი დაიბნენ, თამაშგარე ეგონათ და მეტოქეს აღარ მისდიეს. არადა, მსაჯვს ნიშანი არ მიეცა და თამაში გრძელდებოდა...

საერთოდ ეს ორი შეხვედრა ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ქართველებს ვერ მათივე მსგავსი, *ხასიათის* გუნდი დაუპირისპირდა. ასეთ შემთხვევაში მთავარია ხოლმე თამაში რომელს წაუვა.

უნგრელები ქართველებს თავისუფლად მოქმედების საშუალებას აძლევდნენ, ხოლო დაცვაში საქმე მთლად წახდენილი ჰქონდათ. „მინდისფერებთან“ ასე თამაში კი

ძალიან სახიფათოა. ამიტომაც იყო, ჩვენებმა უამრავი მომენტი რომ შექმნეს. ლიტვამ კი უფრო ორგანიზებული და ძალისმიერი ფეხბურთი გვიჩვენა, მასპინძლებს სივრცე შეუზღუდა და ლამის ორი ტაიმი პრესინგი ეთამაშა. მეორე ნახევარში ზელკიავიჩუსის გუნდი ფიზიკურად უკეთ გამოიყურებოდა, განსაკუთრებით ნახევარდაცვაში იძალეს. სახიფათოდაც არაერთხელ შემოგვიტყეს, მოგვაწვენენ და შემბერასმა და ორჯერ პოშკუსმა როგორ ვერ გაიტანეს, საოცარია.

ნაღდი მომენტები უნგრელებსაც ჰქონდათ. პირველი ტაიმის ბოლოს ბელა ილეშმა ორი ისეთი გააცუდა...

ესეც ნაპრალები ჩვენს დაცვაში. ვაღიაროთ, ნებისმიერი უფრო მაღალი კლასის გუნდი ამ მომენტების ნახევარს მაინც გამოიყენებდა და მერე...

მოკლედ, ვგუფში ყველაფერი გაირკვა და ჩვენც ნაცნობ ვითარებაში აღმოვჩნდით. გამსვლელი ადგილები, ცხადია, სხვებს ერგო, ქართველებს კი ისევ მომავლის იმედი დაგვრჩა. თავში გაფლანგული ქულები ბოლოს ვედარ ანაზღაურდება ხოლმე და წლიდან წლამდე ასე მეორდება.

თუმცა ბიჭებს იმ მონდომებას ნუ დავუკარგავთ სექტემბრის პირველ დღეებში რომ გვაჩვენეს ვაკეში. იბრძოლეს, ოფლი ღვარეს და აკი გაიმარჯვეს კიდეც. სხვა საქმეა თამაშის ხარისხი და ის ბუნდოვანი პერსპექტივა წინ რომ გველის. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით რაიმე თვისობრივ სასიკეთო ცვლილებებზე საუბარი ნაადრევია.



დაინიუს გლევეცკასი, ვიორგი დემეტრაძე (№15)
და რაიმონდას უუტაუტასი (№7)

მიხეილ ყაველაშვილმა ვერ გაიტანა, მაგრამ არც უნგრელები მოასვენა და არც ლიტველები





Deutschland
England

Olympiastadion
München

01. SEP.
2001

1 : 5



მიუნხენის ტრაგედია

ნაპუნა კელია

2001 წლის 1 სექტემბერი რომ მოახლოვდა, ინგლისის ნაკრების შვედ თავკაცს, სვენ გორან ერიკსონს ლონდონის ქუჩებში სულ მეტი და მეტი ხალხი აჩერებდა. ერთი სათხოვარი ჰქონდათ — მსოფლიოს ჩემპიონატის მე-IX შესარჩევ ჯგუფში გერმანიის ნაკრების დამარცხება. თან სად, მიუნხენში!

„მიუნხენში მოგება რომ შეგვეძლო, ყოველთვის ვამბობდი, მაგრამ აძლენ ვიღვს ვერ წარმოვიდგენდი“ — უთხრა თამაშის შემდეგ ერიკსონმა ტელეკომპანია BBC-ს — „ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ იმ შეხვედრაში ჩვენსა და გერმანელებს შორის ამხელა სხვაობა იქნებოდა“.

სხვაობა მართლაც უზარმაზარი გამოდგა: 1:5.

„ფეხბურთელი ჰეთ-თრიკზე ყოველთვის ოცნებობს, მაგრამ ხშირად ეჭვობს, აუხდება თუ არა ოცნება“ — ეს, ინგლისელი ვარსკვლავის, გერმანელთა კოშმარის, 21 წლის ლივერპულელი მაიკ ოუენის სიტყვებია. მან მიუნხენის სენსაციურ სადამოს სამგოლიანი კვალი დააჩნია.

ისე კი, რაკი „ლივერპულზე“ ჩამოვარდა სიტყვა, უნდა ვთქვათ, რომ იმ დღეს „ოლიმპიაშტადიონზე“ გერმანელთა კარში მხოლოდ ამ გუნდის ფეხბურთელებმა გაიტანეს. ოუენის გარდა მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ წოდებულ ოლივერ კანს გაუტანეს სტივენ ჯერარდმა და ემილ ჰესკიმ.

არადა, თავიდან გერმანელები იგებდნენ. „გამორიცხულია, ინგლისელები ჩვენზე ოთხი გოლით უკეთეს ფეხბურთის არ თამაშობენ“ — ეს სიტყვებიც ლივერპულელმა თქვა, ოლონდ, გერმანელმა, დიტმარ ჰამანმა — „უბრალოდ, ავირ-დავირიეთ. ინგლისის ნაკრების და მათი მწვრთნელის ძალა კარგად ვიცოდით, მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩვენს კარში გოლები ყველაზე კრიტიკულ მომენტებში გავიდა“.


ინგლისის ნაკრები იმ დღეს შეუჩერებელი იყო, გერმანიისა დევრადირებული.

მიუნხენური შეხვედრა სააგენტო „რიოტერმა“ დაუყოვნებლივ შეიტანა კლასიკურთა სიაში. სააგენტოს აზრით, 1936 წლიდან მოყოლებული ინგლისსა და გერმანიას შორის ექვსი კლასიკად ქცეული მატჩი გაიმართა. კერძოდ: 1938 წელს, როდესაც ბერლინში ინგლისმა 6:3 მოიგო. ეს ამხანაგური მატჩი გახლდათ; 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი, რომელიც ინ-

გლისელებმა 4:2 მოიგეს. ეს მატჩი „უემბლიზე“ შედგა; 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალი. მექსიკის ქალაქ ლეონში გერმანიამ 3:2 რომ გაიმარჯვა; 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალი. იტალიაში, კერძოდ ტურინში გერმანელებმა 1:0-ის მერე, პენალტებით გაიმარჯვეს 4:3; 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალი — „უემბლიზე“. გერმანიამ 1:0-ის მერე პენალტებით 6:5 მოიგო და მატჩი, რომელსაც ამ პატარა წერილში ვეხებით.

ხოლო გერმანიის ნაკრების მწვრთნელი, რუდი ფიოლერი, შეხვედრის დამთავრებისთანავე შინისკენ გაეშურა — შესვენებისას მამამისს გულის შეტევა მოსვლია.

ახდენილი ოცნება: მაიკლ ოუენმა პეთ თრიკი შეასრულა





შესარჩევნი მატჩები

I ჯგუფი

15 აგვისტო
 იუგოსლავია 2:0 ფარერები
 1 სექტემბერი
 შვეიცარია 1:2 იუგოსლავია
 სლოვენია 2:1 რუსეთი
 ფარერები 1:0 ლუქსემბურგი
 5 სექტემბერი
 იუგოსლავია 1:1 სლოვენია
 ლუქსემბურგი 0:3 შვეიცარია
 ფარერები 0:3 რუსეთი

რუსეთი	9	6	2	1	14:5	20
სლოვენია	9	4	5	0	14:9	17
იუგოსლავია	9	4	4	1	16:6	16
შვეიცარია	9	4	2	3	18:8	14
ფარერები	9	2	1	6	6:20	7
ლუქსემბურგი	9	0	0	9	2:22	0

6 ოქტომბერი
 იუგოსლავია — ლუქსემბურგი
 რუსეთი — შვეიცარია
 სლოვენია — ფარერები

IV ჯგუფი

1 სექტემბერი
 მაკედონია 1:2 შვედეთი
 მოლდოვა 2:0 აზერბაიჯანი
 სლოვაკეთი 0:1 თურქეთი
 5 სექტემბერი
 თურქეთი 1:2 შვედეთი
 სლოვაკეთი 4:2 მოლდოვა
 აზერბაიჯანი 1:1 მაკედონია

შვედეთი	9	7	2	0	17:3	23
თურქეთი	9	5	3	1	15:8	18
სლოვაკეთი	9	4	2	3	11:9	14
მაკედონია	9	1	4	4	11:13	7
მოლდოვა	9	1	3	5	6:17	6
აზერბაიჯანი	9	1	2	6	4:14	5

7 ოქტომბერი
 მაკედონია — სლოვაკეთი
 მოლდოვა — თურქეთი
 შვედეთი — აზერბაიჯანი

VII ჯგუფი

1 სექტემბერი
 ბოსნია 0:1 ისრაელი
 ესპანეთი 4:0 ავსტრია
 5 სექტემბერი
 ლიხტენშტაინი 0:2 ესპანეთი
 ავსტრია 2:0 ბოსნია

ესპანეთი	8	6	2	0	21:4	20
ავსტრია	7	4	2	1	9:7	14
ისრაელი	7	3	2	2	10:6	11
ბოსნია	7	1	2	4	7:12	5
ლიხტენშტაინი	7	0	0	7	0:18	0

7 ოქტომბერი
 ისრაელი — ავსტრია
 ბოსნია — ლიხტენშტაინი

II ჯგუფი

15 აგვისტო
 ესტონეთი 2:2 კვიპროსი
 1 სექტემბერი
 ანდორა 1:1 პორტუგალია
 ირლანდია 1:0 პოლანდია
 5 სექტემბერი
 პოლანდია 5:1 ესტონეთი
 კვიპროსი 1:3 პორტუგალია

პორტუგალია	9	6	3	0	28:7	21
ირლანდია	9	6	3	0	19:5	21
პოლანდია	9	5	2	2	26:9	17
ესტონეთი	9	2	2	5	10:21	8
კვიპროსი	9	2	2	5	13:27	8
ანდორა	9	0	0	9	5:32	0

6 ოქტომბერი
 პოლანდია — ანდორა
 პორტუგალია — ესტონეთი
 ირლანდია — კვიპროსი

V ჯგუფი

1 სექტემბერი
 ბელარუსი 0:2 უკრაინა
 უელსი 0:0 სომხეთი
 პოლონეთი 3:1 ნორვეგია
 5 სექტემბერი
 უკრაინა 3:1 სომხეთი
 ბელარუსი 4:1 პოლონეთი
 ნორვეგია 3:2 უელსი

პოლონეთი	9	6	2	1	20:10	20
უკრაინა	9	4	4	1	12:7	16
ბელარუსი	9	4	3	2	12:10	15
ნორვეგია	9	1	4	4	8:13	7
უელსი	9	0	6	3	9:12	6
სომხეთი	9	0	5	4	6:15	5

6 ოქტომბერი
 უელსი — ბელარუსი
 სომხეთი — ნორვეგია
 პოლონეთი — უკრაინა

VIII ჯგუფი

1 სექტემბერი
 საქართველო 3:1 უნგრეთი
 ლიტვა 0:1 იტალია
 5 სექტემბერი
 საქართველო 2:0 ლიტვა
 უნგრეთი 0:2 რუმინეთი

იტალია	7	5	2	0	15:3	17
რუმინეთი	7	5	0	2	9:6	15
საქართველო	7	3	0	4	11:11	9
უნგრეთი	7	2	2	3	14:12	8
ლიტვა	8	0	2	6	3:20	2

6 ოქტომბერი
 იტალია — უნგრეთი
 რუმინეთი — საქართველო

III ჯგუფი

1 სექტემბერი
 ისლანდია 3:1 ჩეხეთი
 მალტა 0:2 ბულგარეთი
 დანია 1:1 ჩრდ. ირლანდია
 5 სექტემბერი
 ჩეხეთი 3:2 მალტა
 ბულგარეთი 0:2 დანია
 ჩრდ. ირლანდია 3:0 ისლანდია

დანია	9	5	4	0	16:6	19
ჩეხეთი	9	5	2	2	14:8	17
ბულგარეთი	9	5	2	2	14:9	17
ისლანდია	9	4	1	4	14:14	13
ჩრდ. ირლანდია	9	2	2	5	10:12	8
მალტა	9	0	1	8	4:23	1

6 ოქტომბერი
 ჩეხეთი — ბულგარეთი
 დანია — ისლანდია
 მალტა — ჩრდ. ირლანდია

VI ჯგუფი

1 სექტემბერი
 შოტლანდია 0:1 ხორვატია
 5 სექტემბერი
 სან მარინო 0:4 ხორვატია
 ბელგია 2:0 შოტლანდია

ბელგია	7	5	2	0	25:5	17
ხორვატია	7	4	3	0	14:2	15
შოტლანდია	7	3	3	1	10:5	12
ლატვია	7	1	1	5	4:14	4
სან მარინო	8	0	1	7	3:30	1

6 ოქტომბერი
 ხორვატია — ბელგია
 შოტლანდია — ლატვია

IX ჯგუფი

1 სექტემბერი
 გერმანია 1:1 ინგლისი
 ალბანეთი 0:2 ფინეთი
 5 სექტემბერი
 ინგლისი 2:0 ალბანეთი
 ფინეთი 5:1 საბერძნეთი

ინგლისი	7	5	1	1	14:4	16
გერმანია	7	5	1	1	14:10	16
ფინეთი	7	3	2	2	12:7	11
საბერძნეთი	7	2	0	5	5:15	6
ალბანეთი	8	1	0	7	5:14	3

6 ოქტომბერი
 გერმანია — ფინეთი
 ინგლისი — საბერძნეთი



გველუგაები გლაზგოს გზაზე

მანჩესტერის ამბიცია და ლივერპულის დაბრუნება



2001 წლის 26 მაისს მილანში „ბაიერნსა“ იზივია.
ვინ იზივიებს 2002 წლის 15 მაისს გლაზგოში?

ჩაპუნა კედი

ტელევიზორებთან ვსხედვართ, ხელში პულტი გვიჭირავს და ეკრანზე არხებს ვცვლით. რა თქმა უნდა, წინასწარ ვიცით, დღევანდელი შეხვედრებიდან ყველაზე მეტად რომელიც გვინიდავს, მაგრამ იმასაც ვიმახსოვრებთ, სხვა თამაშები რომელ არხებზეა, რათა ჩვენი მატჩის შედარებით განმუხტულ წუთებში გადავრთოთ და მათ შევაგლოთ თვალი. ეტყობა, მანიაკებად ვიქცევით, რადგან:

ეს ჩემპიონთა ლიგა!
რა სახალეო ამ 2001-02 წლების სეზონში? ეს საფრანგეთის „ლილია“, გუნდი, რომელსაც ევროთასზე არ უთამაშია. გარდა ამისა, ორი თამაში საკმარისი არ გამოდგა „ლოკომოტივის“ და „ტიროლის“ შორის გამარჯვებულის გასარკვევად. საქმე ის არის, რომ ამ გუნდების მეორე შეხვედრაში მსაჯამ მოსკოველი პიმენოვი ორჯერ გააფრთხილა, მაგრამ წითელი ბარათის ამოღება დაავიწყდა, რის გამოც უფემად გადათამაშება დაიწმია. თუმცა დავუბრუნდეთ „ლილს“:

ფრანგული პროვინციული გუნდი ლიგის გამარჯვებულ მოქმედის „ბაიერნს“, „რეალს“, „მანჩესტერ ოუნაიტდს“ და სხვა გველუგაებთან ერთად გაუღდა იმ, ფაფურაკებითა და მსხვერპლშეწირვით სასვე გზას, რომლის ბოლოსაც გლაზგოს „ჰემდენ პარკი“ და იქ თავაშვებულ ზვიმს მიცემული რომელიღაც გუნდი ჩანს. ეს 15 მაისს მოხდება.

გველუგაებს, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ, ერთი ძველი, თითქმის დავიწყებული მონსტრი დამატით — „ლივერპული“. ამ მონსტრის 16 წელიწადია ჩემპიონთა თასზე არ უთამაშია. არადა, ეს ჯიღლი ოთხჯერ აქვს მოგებული.

ქვეყნებიდან ერთ-ერთი ლიდერი ესპანეთია. მოგეხსენებათ, ლიგის ბოლო ორი გათამაშების ოთხი ფინალისტიდან სამი სწორედ ესპანეთიდან იყო. კერძოდ, 2000 წლის ფინალში ერთმანეთს „რეალი“ და „ვალენსია“ შეხვდნენ, ხოლო 2001 წელს ისევ „ვალენსია“ იბრძოდა თასისთვის. ახლა კი შეჯიბრების მონაწილეთა შორის ოთხი ესპანური გუნდია: „რეალი“, „მალორკა“, „ვალენსია“ და „ბარსელონა“.

მეორე ლიდერი განხლავთ გერმანია. მასაც ოთხი კლუბი წარმოადგენს: „ბაიერნი“, „დორტმუნდი“, „ლივერპულები“ და „შალკე 04“.

სამ-სამი გუნდით ჰყავთ იტალიელებს, ინგლისელებს და ფრანგებს.

ბუნებრივია, მთელი ეს ლამქარი 15 მაისს გლაზგოში ჩასვლასა და იქიდან შინ თასით დაბრუნებას ოცნებობს, თუმცა მათან ერთი, „მანჩესტერ ოუნაიტდი“, განსაკუთრებით ამბიციური ჩანს როგორც ვითქვით, ფინალი შოტლანდიაშია, ხოლო „ოუნაიტედის“ შოტლანდიელ მწვრთნელს, სერ ალექს ფერგიუსონს, მანჩესტერში მოღვაწეობის ბოლო, მეთექვსმეტე წელიწადი უღვას. და სწორედ ფერგიუსონი გვემაგვს თავისი დიდებულის ეპოქის დიდებულ დასასრულს.

ახლა კი ჯგუფებს გადავავლოთ თვალი.

A ჯგუფში, სადაც მოსკოვის „ლოკომოტივის“ და ბრიუსელის „ანდერლექტს“ თავზე „რეალი“ და „რომა“ წამოსკუპებით, ძალიან საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი. საკვირველია, მაგრამ, როგორც გაირკვა, „რეალი“ და „რომა“ აქამდე უფუფას შეჯიბრებებში ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან. მეტიც, ამ ჯგუფის წევრთაგან ერთმანეთს მხოლოდ „ანდერლექტი“ და „რეალი“ იცნობენ.

B ჯგუფი უფრო თანაბრად ლიგანია, „ლივერპული“, „დორტმუნდი“, „დინამო“ და „ბაიერნსი“. მათ შორის ცნობილი ანგლო-გერმანული ქიმიდან გამოძინარე ყველაზე ენციური „ლივერპულის“ და „დორტმუნდის“ მატჩები იქნება ეს გუნდები ერთმანეთს ერთხელ შეხვდნენ. 1966 წლის თასების თასის ფინალში, სადაც „დორტმუნდმა“ 2:1 გაიმარჯვა ახლა, აღბათ, რევენშე დაწყება ლაპარაკი დორტმუნდლები 1999 წლის ჩემპიონთა ლიგაში შეხვედრიან „ბაიერნსსაც“, დანარჩენი კი სახალეო.

C ჯგუფში მითამაშენი — „არსენალი“, „მალორკა“, „შალკე“ და „პანათინაიკოსი“ — სავარაუდოდ, ბოლო წამამდე არაფერს დათმობენ. აქ ნაცნობები არიან „არსენალი“ და „პანათინაიკოსი“, რომლებიც 1998 წელს ლიგის ჯგუფში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ისინი 1981 წლის უფუფას თასის გათამაშების პირველ ეტაპზეც შეებრძოლნენ ერთ-ერთს, სხვებს კი გაცნობის დღეები უღვათ.

D ჯგუფს აშკარა ლიდერი ჰყავს — „ლაციო“, „გალათასარაი“, „ეინდოვენი“ და „ნანტი“ მასთან, ვეჭვობთ, ვერ მივლენ. სხვათა შორის, რომაელები ამ მეტოქეებს ადრე არც შეხვედრიან. ჯგუფელთაგან ბედმა მხოლოდ „ეინდოვენი“ და „გალათასარაი“ გადაჰყარა ერთმანეთს, 1987 წელს.

E ჯგუფი „ოუვენტუსითა“ გამორჩეული, თუმცა არც „პორტუ“, „რუსენბორგი“ და „სელტიკი“ არან ბეჭენი ცალკე საუბრის თემა „ოუვენტუსი“ — „პორტუ“. მათ 1984 წელს თასების მფლობელთა თასის ფინალში ითამაშეს ფინალის ნაცნობთა კი მოგეხსენებათ, უბრალო საქმე არ არის მამნ იტალიელებმა 2:1 მოიგეს. აღსანიშნავია, რომ „რუსენბორგი“ ზედიზედ მესამედ გამოდის ლიგაში, „სელტიკისთვის“ კი ეს შეჯიბრება უცხოა.

კიდევ „რუსენბორგი“ იცნობს „პორტუს“, 1996 და 1997 წლებში ლიგის ჯგუფში ერთად იყვნენ.

F ჯგუფს „ბარსელონა“ ალაპაზებს. მის გარდა ამ ჯგუფში არიან „ლიონი“, „ლევერკუზენი“ და „ფენერბაჩი“. ბარსელონელები მათგან მხოლოდ „ლევერკუზენს“ იცნობენ. ისინი 1988 წელს უფუფას თასის მეთორხედფინალში ეჯიბრებულნენ ერთმანეთს. მაშინ გერმანელებმა მოიგეს — ორი შეხვედრის ჯამში 1:0.

G ჯგუფში დიდი ამბიციაა — „მანჩესტერ ოუნაიტდი“. კიდევ „დებორტივო“, „როლიმაიკოსი“ და „ლილი“. შეგახსენებთ, რომ „ოუნაიტდი“ და „დებორტივო“ წინა სეზონში მეთორხედფინალისტები იყვნენ.

H ჯგუფი თასის მფლობელით იკვეხნის. „ბაიერნი“ მეტოქეებად ჰყავს „სპარტაკი“, „ფეინიორდი“ და „სპარტა“. გერმანელები მოსკოველებს ძალიან კარგად იცნობენ — მისულ სეზონში მინ 1:0 მოუგეს და სტუმრად 3:0. ამას გარდა, ისინი 1994-95 წლების გათამაშებაშიც ერთად იყვნენ და ორივე შეხვედრა ფრედ დაასრულეს.

რაც შეეხება „ფეინიორდს“ და „სპარტას“, მათ მიუხეზენილებთან პირველად აქვთ საქმე.



ჩემპიონთა ლიგა 2001-2002



CHAMPIONS
LEAGUE

A ჯგუფი

CHAMPIONS
LEAGUE

		1	2	3	4	მ	შ	წ	ბ	ქ
1	რეალი <i>მადრიდი, ესპანეთი</i>									
2	რომა <i>რომი, იტალია</i>									
3	ლუკომოტივი , რუსეთი ტიროლი , ავსტრია									
4	ანდერლეხტი <i>ბრიუსელი, ბელგია</i>									

I ტური. 11 სექტემბერი, 2001
რომა — რეალი
ლუკომოტივი/ტიროლი — ანდერლეხტი

II ტური. 19 სექტემბერი, 2001
ანდერლეხტი — რომა
რეალი — ლუკომოტივი/ტიროლი

III ტური. 26 სექტემბერი, 2001
რეალი — ანდერლეხტი
რომა — ლუკომოტივი/ტიროლი

IV ტური. 16 ოქტომბერი, 2001
ანდერლეხტი — რეალი
ლუკომოტივი/ტიროლი — რომა

V ტური. 24 ოქტომბერი, 2001
რეალი — რომა
ანდერლეხტი — ლუკომოტივი/ტიროლი

VI ტური. 30 ოქტომბერი, 2001
რომა — ანდერლეხტი
ლუკომოტივი/ტიროლი — რეალი

B ჯგუფი

		1	2	3	4	მ	შ	წ	ბ	ქ
1	ლივერპული <i>ნიგლინი</i>									
2	ბორუსია <i>დორტმუდი, გერმანია</i>									
3	დინამო <i>კიევი, უკრაინა</i>									
4	გოავიგტა <i>ეორტუ, ეორტუგალია</i>									

I ტური. 11 სექტემბერი, 2001
ლივერპული — გოავიგტა
დინამო — ბორუსია

II ტური. 19 სექტემბერი, 2001
ბორუსია — ლივერპული
გოავიგტა — დინამო

III ტური. 26 სექტემბერი, 2001
გოავიგტა — ბორუსია
ლივერპული — დინამო

IV ტური. 16 ოქტომბერი, 2001
ბორუსია — გოავიგტა
დინამო — ლივერპული

V ტური. 24 ოქტომბერი, 2001
გოავიგტა — ლივერპული
ბორუსია — დინამო

VI ტური. 30 ოქტომბერი, 2001
ლივერპული — ბორუსია
დინამო — გოავიგტა

C ჯგუფი

		1	2	3	4	მ	შ	წ	ბ	ქ
1	არსენალი <i>ლონდონი, ინგლისი</i>									
2	მალიორკა <i>ესპანეთი</i>									
3	შალკე <i>გელზენკირხენი, გერმანია</i>									
4	პანათინაიკოსი <i>ათენი, საბერძნეთი</i>									

I ტური. 11 სექტემბერი, 2001
შალკე — პანათინაიკოსი
მალიორკა — არსენალი

II ტური. 19 სექტემბერი, 2001
არსენალი — შალკე
პანათინაიკოსი — მალიორკა

III ტური. 26 სექტემბერი, 2001
პანათინაიკოსი — არსენალი
შალკე — მალიორკა

IV ტური. 16 ოქტომბერი, 2001
არსენალი — პანათინაიკოსი
მალიორკა — შალკე

V ტური. 24 ოქტომბერი, 2001
პანათინაიკოსი — შალკე
არსენალი — მალიორკა

VI ტური. 30 ოქტომბერი, 2001
შალკე — არსენალი
მალიორკა — პანათინაიკოსი

D ჯგუფი

		1	2	3	4	მ	შ	წ	ბ	ქ
1	ლაციო <i>რომი, იტალია</i>									
2	გალათასარაი <i>სტამბოლი, თურქეთი</i>									
3	ჰსვ ეინდჰოვენი <i>ჰოლანდია</i>									
4	ნანტი <i>საფრანგეთი</i>									

I ტური. 11 სექტემბერი, 2001
ნანტი — ეინდჰოვენი
გალათასარაი — ლაციო

II ტური. 19 სექტემბერი, 2001
ლაციო — ნანტი
ეინდჰოვენი — გალათასარაი

III ტური. 26 სექტემბერი, 2001
ეინდჰოვენი — ლაციო
ნანტი — გალათასარაი

IV ტური. 16 ოქტომბერი, 2001
ლაციო — ეინდჰოვენი
გალათასარაი — ნანტი

V ტური. 24 ოქტომბერი, 2001
ეინდჰოვენი — ნანტი
ლაციო — გალათასარაი

VI ტური. 30 ოქტომბერი, 2001
ნანტი — ლაციო
გალათასარაი — ეინდჰოვენი



ჩემპიონთა ლიგა 2001-2002



CHAMPIONS
LEAGUE

ე ჯ ბ უ ფ ი

CHAMPIONS
LEAGUE

		1	2	3	4	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1	იუვენტუსი ტურინი, იტალია									
2	პორტუ პორტუგალია									
3	რუსენგორგი ბროდეჰიმი, ნორვეგია									
4	სელტიკი გლაზგო, შოტლანდია									

- I ტური. 12 სექტემბერი, 2001
სელტიკი — რუსენგორგი
პორტუ — იუვენტუსი
- II ტური. 18 სექტემბერი, 2001
იუვენტუსი — სელტიკი
რუსენგორგი — პორტუ
- III ტური. 25 სექტემბერი, 2001
რუსენგორგი — იუვენტუსი
სელტიკი — პორტუ
- IV ტური. 17 ოქტომბერი, 2001
იუვენტუსი — რუსენგორგი
პორტუ — სელტიკი
- V ტური. 23 ოქტომბერი, 2001
რუსენგორგი — სელტიკი
იუვენტუსი — პორტუ
- VI ტური. 31 ოქტომბერი, 2001
სელტიკი — იუვენტუსი
პორტუ — რუსენგორგი

ფ ჯ ბ უ ფ ი

		1	2	3	4	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1	ბარსელონა ესპანეთი									
2	ლიონი საფრანგეთი									
3	ბაიერი ლევერკუზენი, გერმანია									
4	ფენერბაჰჩე სტამბოლი, თურქეთი									

- I ტური. 12 სექტემბერი, 2001
ბაიერი — ფენერბაჰჩე
ბარსელონა — ლიონი
- II ტური. 18 სექტემბერი, 2001
ლიონი — ბაიერი
ფენერბაჰჩე — ბარსელონა
- III ტური. 25 სექტემბერი, 2001
ფენერბაჰჩე — ლიონი
ბაიერი — ბარსელონა
- IV ტური. 17 ოქტომბერი, 2001
ლიონი — ფენერბაჰჩე
ბარსელონა — ბაიერი
- V ტური. 23 ოქტომბერი, 2001
ფენერბაჰჩე — ბაიერი
ლიონი — ბარსელონა
- VI ტური. 31 ოქტომბერი, 2001
ბაიერი — ლიონი
ბარსელონა — ფენერბაჰჩე

გ ჯ ბ უ ფ ი

		1	2	3	4	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1	მანჩესტერ იუნაიტედი ინგლისი									
2	დავორტივო ლაჟოვონია, ესპანეთი									
3	ოლიმპიკოსი პირეოსი, საბერძნეთი									
4	ლილი საფრანგეთი									

- I ტური. 12 სექტემბერი, 2001
ლილი — დავორტივო
ოლიმპიკოსი — მანჩესტერი
- II ტური. 18 სექტემბერი, 2001
მანჩესტერი — ლილი
დავორტივო — ოლიმპიკოსი
- III ტური. 25 სექტემბერი, 2001
დავორტივო — მანჩესტერი
ლილი — ოლიმპიკოსი
- IV ტური. 17 ოქტომბერი, 2001
მანჩესტერი — დავორტივო
ოლიმპიკოსი — ლილი
- V ტური. 23 ოქტომბერი, 2001
დავორტივო — ლილი
მანჩესტერი — ოლიმპიკოსი
- VI ტური. 31 ოქტომბერი, 2001
ლილი — მანჩესტერი
ოლიმპიკოსი — დავორტივო

დ ჯ ბ უ ფ ი

		1	2	3	4	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1	ბაიერნი მიუნხენი, გერმანია									
2	სპარტაკი მოსკოვი, რუსეთი									
3	ფიენოროლი როტერდამი, ჰოლანდია									
4	სპარტა პრაღა, ჩეხეთი									

- I ტური. 12 სექტემბერი, 2001
სპარტა — სპარტაკი
ფიენოროლი — ბაიერნი
- II ტური. 18 სექტემბერი, 2001
ბაიერნი — სპარტა
სპარტაკი — ფიენოროლი
- III ტური. 25 სექტემბერი, 2001
სპარტაკი — ბაიერნი
სპარტა — ფიენოროლი
- IV ტური. 17 ოქტომბერი, 2001
ბაიერნი — სპარტაკი
ფიენოროლი — სპარტა
- V ტური. 23 ოქტომბერი, 2001
სპარტაკი — სპარტა
ბაიერნი — ფიენოროლი
- VI ტური. 31 ოქტომბერი, 2001
სპარტა — ბაიერნი
ფიენოროლი — სპარტაკი



სოსო კობორაიშვილი



ბატე — დინამო. არჩილ სახვაძე (ბურთით), ალექო ამისულაშვილი და სხვა დინამოელები ბორისოვში შერცხვნენ

უფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი



ბატე 4:0 (1:2) დინამო



საქართველო ფეხბურთს გაეგუტა

უფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი



ლოკომოტივი 1:1 (0:0) ბირკირკარა



ლოკომოტივი — ბირკირკარა. გელა ქორიძემ (ბურთით) მალტელ მცველებს ვერაფერი დააკლო



გურამ დოღენაშვილი

„ასეა თუ ისე, კლუბთა სამი ევროტურნირიდან, ორს ქართველები უსახელოდ დაემშვიდობნენ, ახლა ჯერი უეფას თასზე და „დინამო“-„ლოკომოტივზე“, ვინძლო, ამათ მაინც უნიონ შემოდგომას, თორემ ქართულ გუნდებს „ზაფხულში მობურთალთა“ მეტსახელი ნაღდად არ ასცდებათ“.

ასე ვწერდით წინა „სარბიელში“ და „დინამოსი“ რა მოგახსენოთ, „ლოკომოტივისგან“ მალტური „ბირკირკარას“ ძღვევისა გვჯეროდა, მითუფრო, რკინიგზელებმა პირველ მატჩში მალტურ „ტა ქალიზე“ რიგიანად ითამაშეს, მართალია, გოლი ვერ გაიტანეს, მაგრამ არც მეტოქეს გაატანინეს და იქაური 0:0 თბილისური შეხვედრის წინ კარგ შედეგად მივიჩნიეთ.

„ლოკომოტივის“ მწვრთნელ-ფეხბურთელებიც იმედიანად იყვნენ, მათი საუბრიდან აშკარად იგრძნობოდა, თავი უკვე უეფას თასის შემდეგ წრეში დაეგულეებინათ, მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო... კახა ცხადაძეს და მის შეგირდებს იგივე დაემართათ, რაც 1996 წელს ზესტაფონის „მარგვეთს“ — სტუმრად 3:1 მოგებული მატჩის მერე, ზესტაფონში 0:3 რომ შერცხვნენ მალტურ „სლიმა უონდერერთან“ (აქაც მალტა).

„ლოკომოტივს“ „ბირკირკარასთან“ თბილისში არ წაუგია, ფრედ 1:1 ითამაშა, მაგრამ მალტელთა სწორედ იმ ერთადერთმა გოლმა მომდევნო წრეში სტუმრები გაიყვანა, მატჩის ბოლოს გიორგი ანჩაბაძის მიერ საჯარიმოდან გატანილი კი ქართველი ქომაგისთვის ვერაფერი ნუგეში იყო.

აბა, „დინამოზე“ რაღა ვთქვათ. გივი ნოდისა გუნდს წილისყრამ მეტოქედ ბელარუსული „ბატე“ რომ არგუნა, ჩვენებურებმა ჯერ კიდევ მაშინ შეიცხადეს — ნახეთ, უიღბლობა, ეს რა ძლიერი მეტოქე შეგვხვდაო, მაგრამ თავს დავდებთ, ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვეცდებით ბელარუსული ბარიერი დავძლიოთო — ნაცნობი და გაზეპირებული ფრა-

ზები უხვად იფრქვეოდა „დინამოს“ დიღმის ბაზიდან.

დაუღვინებელმა „დინამომ“ თბილისში მართლაც ფეხბურთის მსგავსი რამ ითამაშა, ორი ბურთითაც დანიწურდა, მაგრამ მატჩის მიწურულს ერთი გაუშვა და მართალია, მოგებულნი, მაგრამ მაინც ნინამხდარი გაემგზავრა ბელარუსს. იქ კი „თავი დადო, ბოლომდე იბრძოლა“, თუმცა 0:4 წააგო და შერცხვენილ-გაბითურებული გამობრუნდა შინ.

ქართული კლუბებისთვის ევროტურნირები ამით დამთავრდა. დამთავრდა ჩვეულად — ნაგებული მატჩები, ქომაგთა დაკოდილი გულეები და რაც ყველაზე საგანგაშოა უსახური ფეხბურთი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო იმასთან, რასაც ნაღდი ფეხბურთი ჰქვია.

ახლა, მოდით, ცოტა ხნით დროში ვიმოგზავროთ: 2002 წლის აგვისტოს მიწურული წარმოვიდგინოთ. თქვენ ფურცლავთ ჟურნალ „სარბიელს“ და რას კითხულობთ იქ? „...ქართულ გუნდებს „ზაფხულში მობურთალობა“ მეტსახელი ნაღდად არ ასცდებათ“.

რაოდენ გულსაკლავიც უნდა იყოს, ასე იქნება. რატომ?

იმიტომ, რომ...

*ქართულ ფეხბურთს
პატრონი არ ჰყავს.*

*ქართველი მწვრთნელები
ძველმოდურად
აზროვნებენ.*

*საქართველოში ფეხბურთი
გემრიელი ლუკმაა, რა
თქმა უნდა, სახრავად და
ჯიბის გასასქელებლად.*

*და საერთოდ, თამაშობენ
კი საქართველოში
ფეხბურთს?*

*მთი და, ამის მერე
კალამი ხელში აიღე,
ქართულ ფეხბურთზე
წერე, წერე და იკითხე...*

ლოკომოტივი — ბირკირკარა.
ჰაერში „ლოკომოტივმა“ იმარჯვა,
მოწაზე „ბირკირკარამ“



მიღევა

პრემი

თასი



ირაკლი გამყრელიძე

REUTERS



ლუი შპორის სტადიონი ეგებ სულაც არ იყოს ნამდვილი სტადიონი, იმ გაგებით, რომ დიდი შეჯიბრების ფინალი იქ არასოდეს გაიმართება, რახან მის ლამაზ, საოპერო ტრიბუნებზე მხოლოდ 18 ათასი ადგილია.

სამაგიეროდ, მონაკოს საჰერცოგოს მთავარ მინდორზე, ბოლო წლებია, ევროპის სუპერთასი თამაშდება. სუპერთასი სიმბოლური ჯილდოა და იმგვარი სახელი ჯერაც არა აქვს, რომ მის მომგებს ხოტბა შეასხან, აი, მართლაც კონტინენტის ჩემპიონიო.

რაც თასების თასი გაუქმდა, სუპერთასისთვის ჩემპიონთა ლიგის მომგები და უეფას თასის მომპოვებელი იბრძვიან. თასის გათამაშება დანიშნულია უდროო დროს, აგვისტოს მიწურულს, ანუ ევროსეზონის დაწყების წინ, რაც ასევე ხელს არ უწყობს ამ თასის გარშემო ხმაურის ატეხას.


ამის მიუხედავად, სუპერთასისთვის თამაში ნაღდაა, თუ თვალს დაგზუჟავთ იმაზე, რომ იგი ოღნავ ამხანაგურს ჩამოჰგავს, თავზე ხელაღებულობით არ გამოირჩევა და, საერთოდ, მწვერთხელებს არ უნდათ, რომ მათ ფეხბურთელებს სეზონის

„ლივერპულის“ და „ბაიერნის“ მწვერთხელები: ჟერარდ ულიე (მარცხნივ) და ოტმარ ჰიფელდი მატჩის წინ

„ლივერპულის“ „დიდების დარბაზს“ ერთი თასი და ისტორიული ფოტოები შეემატა

REUTERS





მიუნხენელი პასან სალიკამიჯინი და ლივერპულელი სტივენ ჯერარდი


„ოქროს ბიჭუნა“, მაიკლ ოუენი კიდეც ერთი ჯილდოთი გამდიდრდა

წინ კოჭები დაამტკრიონ. სხვაფრივ, ეს შეჯიბრება და თასის მოპოვება ყველას უხარია, მარცხს კი ყველა იოლად ივიწყებს. წლევანდელი მებრძოლნი, „ლივერპული“ და „ბაიერნი“, ამ თასისთვის ასე თუ ისე ფორმაში მყოფნი გავიდნენ მოედანზე. წლეულს ეროვნული ჩემპიონატები ადრე დაიწყო, თუმცა ამან „ტრაფემის ეპიდემიაც“ დააჩქარა. მაგალითად, გერმანელებს, რომლებსაც ეს თასი არასოდეს მოუგიათ, შტეფან ჟენზბერგი და მეჰმეთ შოლი აკლდნენ. „ლივერპულს“ კი მომჯობინებული სტივენ ჯერარდი თითქოს სწორედ იმიტომ ჰყავდა მოედანზე, რომ გერმანული ნახევარდაცვის სისუსტე გამოეჩინა. ინგლისელებმა, ჯერარდის, იონ არნე რიისესა და გარი მაკალისტერის წყალობით, შუა მოედანი აიღეს, მაიკლ ოუენის სისწრაფემ კი ბავარიელებს ზოზონი არ აპატია. თვით ემილ ჰესკიმაც კი, თამაშის ყველაზე მძიმე მონაწილემ, დრიბლინგით გაიტანა გოლი.

46-ე წუთზე „ლივერპული“ უკვე 3:0-ს ივებდა. მიუნხენის გუნდს ამგვარი სამარცხვინო შედეგი ხელს არ აძლევდა, ლივერპულელებს კი სწორედ საკუთარი კარის დაცვა მართებდათ, რადგან შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი ჩანდა. საბოლოოდ ასეც მოხდა: „ლივერპულმა“ თავის ისტორიაში მეორედ მოიგო სუპერთასი, მეორედ წაართვა ეს ჯილდო გერმანულ გუნდს, მაგრამ საამაყო შედეგი ვერ შეინარჩუნა, რადგან გერმანელებმა მეტოქეებს მაინც შეახსენეს თავიანთი ხასიათი და ორი საზრიანი თავურით ანგარიშში სხვაობა ერთ გოლამდე დაიყვანეს.

მერე შტურმი ატყდა, ოლივერ კანიც კი ინგლისელთა საჯარიმოში შევარდა, მაგრამ ამ საქმიდან მაინც არაფერი გამოვიდა — თუნდაც იმიტომ, რომ ის, რასაც „ლივერპული“ აკეთებდა მოსაგებად, სჯობდა იმას, რისი კეთებაც „ბაიერნს“ გადაეწყვიტა.

„ლივერპულისთვის“ ეს იყო მეხუთე თასი ამ სეზონში.



შუმიჩის გეგმები სეპარტი



REUTERS

დავით გულუა

2001 წლის „ფორმულა 1“ დამთავრდა — ეს განცხადება კატეგორიული ჩანს იმ ფონზე, რომ ოთხი რბოლა კიდევ წინ არის ზღვა მაცურებელით, ბოლიდების ზუზუნითა და გასაშტერებელი სიჩქარეებით, მაგრამ „ფორმულა“ შეჯიბრება და ყველა შეჯიბრების მთავარი პრინციპი ხომ მგობნის მგობნის დადგენაა. აქ კი მგობნის მგობნი უკვე ცნობილია: იტალიური „ფერარის“ სამსახურში მდგომ მიხაელ შუმიჩერს უკვე იმდენი ქულა დაუკროვდა, დარჩენილი ოთხივე ეტაპის მოგებაც უშველის შუმიჩერს ვერ დაეწვიან პრე-

ტენზიული შოტლანდიელი დევიდ კულპარდი და წლეულს რატომღაც სულ ვერგამოჩენილი ფინელი ექსპედიციონი მიკა ჰაკინენი, ვერც მიხაელ შუმიჩერის უმცროსი ძმა რადფი და, მით უმეტეს, ბრაზილიელი რუბენ ბარიკელი: ის შუმიჩის გუნდელია და გასწრებაზე თავიდანვე არ უფიქრია. გაიმარჯვა შუმიჩერმა. გაიმარჯვა „ფერარისმა“ კონსტრუქტორთა ბრძოლაში და, რასაკვირველია, პატარა ქალაქ მარანელოს ყველა კუთხეში იმ დღეს „ფერარის“ დროშა ფრიალებდა, აი, ყალყზე შემდგარი ცხენი რომ ახატა. შუმიჩერმა დიდი ხნის წინ დაიპყრო იტალიელთა ამბიციური და ცხელი გულელები, დღეს კი „ფორმულა 1“-ის უკვე ოთხჯერის ჩემპიონს, უბრალოდ, აღმერთებენ. თავად შუმიჩის ახლა ორი საზრუნავი აქვს: გადააბიჯოს 1000-ქულიან ზღუდეს და ისწავლოს იტალიური. ეს გერმანელი ჯერაც ინგლისურად ესაუბრება იტალიურ მედიას, მაგრამ პროგრესი აშკარაა: მეოთხე ტიტულის მოპოვებისთანავე შუმიჩერმა „ფერარის“ საიდუმლო სიტყვები აპენინელთა ენაზე შესძახა. საერთოდ, იტალიური სასწავლად ყველაზე ილიი ენა ფოფილა, 1000 ქულა კი... ვნახოთ.



REUTERS



REUTERS

მეცამეტე და პირველი გოჭები

დავით გულუა

3-12 აგვისტოს დედამიწის მთავარი ათლეტები კიდევ ერთხელ შეუდგნენ იმ გარეგნულად პრიმიტიულ საქმეებს, რასაც ადამიანები ჯერ კიდევ როდიდან მისდევენ. ანუ დარბოდნენ, ხტოდნენ, ტყორცნიდნენ... მაგრამ ამას აკეთებდნენ ნებისმიერ სხვაზე ჯარჯად: ჯანდაბი ედმონტონში, მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა.


ოლიმპიადისა არ იყოს, მსოფლიო ჩემპიონატს არ აინტერესებს, რომელი ათლეტი რამდენი ტიტულის პატრონია. იქნებ ვირგილიუს ალექსანდრის ოლიმპიადა მოიგო და წლეულსაც ტურნირი არ დაუტოვებია, რომ პირველი არ ყოფილიყო, მაგრამ იმ კონკრეტულ მომენტში ედმონტონის თანამეგობრობის სტადიონზე გამოვიდა ვეტერანი გერმანელი ლარს რიდელი და ბადრო ფავორიტ ლიტვკელზე შორს ტყორცნა. ან კიდევ, თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატზე, მაშ, სად უნდა დასრულებულიყო მარიონ ჯონსის ოთხი წელიწადი, სავსე მხოლოდ გამარჯვებებით? მეტიც: ორჯერ მეტანს არ ენახა კეთილ და ლეგენდარულ ჰაილა გებრესილასიეს მეტოქე სტაიერთა ზურგი და სწორედ ედმონტონში ნახა. ამ დროს 400 მეტრზე სარბენად გამოდის ვინმე ინგო მულცი, გერმანიის არმიის ოფიცერი და სენსაციას ახდენს. ედმონტონში მხოლოდ უატერნატივობის გამო წაიყვანეს და ნახევარფინალში გასვლითაც თავი გმირი ეგონებოდა, ის კი იგებს საკვალიფიკაციო



კენიელები ჩარლზ კამატი და სიმონ ბიოტი



კაცთა 200-მეტრიან დისტანციას ბერძენი კონსტანდინოს კელერისი დაეპატრონა



გარბენს, ნახევარფინალსაც, და გადამწყვეტი რბენის დროს ცოტა ნაკლებად, მაგრამ ასევე „ვინმე“ ბაჰამელს ავარდ მონჯურს ჩამორჩება, მეტს არავის... ჩემპიონები და, საერთოდ, ელიტა სახამშრალი რჩება.

თუმცა, მითლად ისე ნუ წარმოვაჩენთ, თითქოს ედმონტონში მხოლოდ მეცამეტე გოჭების აღლუმში იყო - პირველი გოჭებიდანაც რამდენიმემ გაუძლო მსოფლიოს ჩემპიონატის ფსიქოლოგიურ წნეხს და მედლების ჯოლექცია გაიმდიდრა, მათგან ერთ-ერთი მორის გრინი გახლდათ. ამერიკელის მუხლებს თითქოს ოდნავ უნდა ეძაგდავათ, რადგან მარდი მორისის გვერდით იდგა ცქიტიტი მონტგომერი, ორიოდ კვირის წინ სეზონის რეკორდი რომ წაართვა, და ედმონტონში გრინის მარცხი სრულიად იკმარებდა მოწინავე სპორტული გაზეთების საპირველგვერდო სათაურების შესაცვლელად. ფინალური გარბენის შემდეგ ცვლილებები გადაიდო, გრინმა გაუსწრო მონტგომერის და სეზონის რეკორდიც დაიბრუნა. აფსუს, რომ ფინალურ მეტრებზე გრინი ფეხებმა დააღალატა, თორემ ეგებ მსოფლიოს რეკორდი დამხობილიყო, რასაც თუნდაც ერთ სახეობაში ამაოდ ელოდა თანამეგობრობის სტადიონზე შეგროვილი ხან ბევრი და ხან ცოტა მაყურებელი.

ედმონტონის მსოფლიო პირველობა ვერც ბილეთების გაყიდვის რეკორდით შევა ისტორიაში.

რაც შეეხება ცრემლს, ედმო-


პიშამ ელ გურუჯი

გეილ დივერსი მარდი ფეხებით და გრძელი ფრჩხილებით არის ცნობილი




ნტონი ამ მხრივ სხვა ჩემპიონატებისგან გამორჩეული იყო, ანუ ჩამოიყარა ბევრად მეტი ჯურცხალი, ვიდრე „ოქროს ლიგის“ ნებისმიერ ტურნირზე. ტიროდა ბრიტანელი პოლა რედელიფი, როცა სამმა ეთიოპელმა არც ერთი მედალი არ არგუნა. ამას სიმონის ცრემლი ჰქვია, ხოლო როცა რუმინელი ლიდია სიმონი აზღუქუნდა ქალთა მარათონის ფინიშზე, ეს უკვე გულიდან ლოდის ახსნას მოასწავებდა: აქამდე სპორტულად უიღბლო სიმონმა მრავალი მარათონი ირბინა, ოლიმპიადებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე 7 ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ედმონტონის „ოქრო“ მისთვის პირველი იყო, პირველი კი ყველაფერი ტკბილია, თან ამდენი ლოდინის შემდეგ.

დავამთავროთ ეს პატარა ნიღბსვლა იმ ფაქტით, რომ ედმონტონის მსოფლიო ჩემპიონატს მძლეოსნობის რუკაზე რადიკალურად არაფერი შეუცვლია, ორიოდე ახალი ქვეყნის გამოჩენას თუ არ ჩავთვლით, და საქართველო მათში არანაირად არ ურევია. სპორტის დედოფლის ფლაგმანად ამერიკის შეერთებული შტატები რჩება. რუსეთი მას სულ ახლოს მისდევს. ოდნავი გაოცება ეენის გუნდურმა მესამე ადგილმა გამოიწვია. ამის გამო მასაებსა და სხვებს სამობლოში ზარ-ზეიმით დახვდნენ, მაგრამ ეგ დიდი ვერაფერი სენსაცია გახლავთ – ეენიელებს შორ გზაზე სირბილი სულზე მეტად უყვართ და ედმონტონში იღბალიც მათ მხარეს იყო...



ქალთა მარათონის ფინიშზე რუმინელმა ლიდია სიმონმა სიხარულისგან იტირა



მისი თამაშის სტილი ბევრს ნაკლებად მოსწონს (უნდა გამოვტყდე მათ შორის მეც). რას იზამ, ქართველებს გვიჭირს იმ სტერეოტიპის დამსწვრთვა, რომლის მიხედვითაც სპორტის ნებისმიერ სახეობაში უპირველესად ლამაზი და ტრიუკებზე აწყობილი სანახაობა უნდა ვეძებოთ. რაციონალიზმს ძნელად ვეგუებით, თუნდაც მაშინ, როცა მას საქმისთვის მეტი სარგებელი მოაქვს.

რა მოვწონს და რა არა — ეს გემოვნების საკითხია, რეალობა კი ამგვარი ვახლავთ: მისი თამაში არაა ემოციური, ეფექტური და სანახაობრივად მიმზიდველი, სამაგიეროდ, გონივრული, სადა და პრაგმატულია. მის მოძრაობაში ზედმეტი არაფერია. იგი არახდროს

თამაშობს მაყურებელზე, არც ცდილობს, თავი მოაწონოს მას, თუმცა მისსავე ერთ თითქოს უსახურ, მაგრამ სწორ მოძრაობას ხშირად ლელოც შეუქმნია და მეტოქის მწვავე შეტევაც ჩაუშლია.

მისი საუბარიც მისსავე თამაშს ჰგავს — ნაკლებემოციურია და ვაწონასწორებული. იგი ზედმეტ სიტყვებს არ ხარჯავს, მაგრამ ყველა კითხვას ამომწურავად უპასუხებს. ილია ზედგინიძე, 24 წლის, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებისა და საფრანგეთის „ტულონის“ მორეზინალი, 2001 წლის ევროპის ერთა თასის მფლობელი. ორიოდ წლის წინ ცნობილი მხოლოდ ახლობელ-ნათესავთათვის და რაგბის სპეციალისტთა ძალიან ვიწრო წრისთვის, დღეს კი...

გუნდა სრისკენ

მერაბ რატიშვილი

— ყველაფერი როგორღაც ძალიან სწრაფად მოხდა, რამდენიმე თამაში მოვივეთ და უცებ პოპულარულები გავხდით, ხალხმა გაგვიცნო. ნაკრებში დაახლოებით 30 კაცი ვართ და თითოეული ჩვენგანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობის ყურადღება. ადრე მხოლოდ ოჯახის წევრები და მეგობრები გვედგნენ გვერდით, ახლა კი ხალხის მხარდაჭერას ვგრძნობთ. რუსეთთან და რუმინეთთან გამარჯვებას ძალიან გაუხარებია გულშემოტკივარი. გული მწყდება, რომ გახარებული ხალხი ჩემი თვალით ვერ ვნახე — იმ თამაშების მერე პირდაპირ საფრანგეთში გავემგზავრე.

ჩვენი პოპულარობა უპირველესად რაგბისთვის არის კარგი. რაგბისადმი დამოკიდებულება იცვლება, რაც ძალიან მახარებს. ეს ყურადღება დიდი სტიმული იქნება ნორჩი მორაგბეებისთვის, რომლებმაც ხვალ-ზეგ დიდი რაგბი უნდა თამაშონ.

— ნაკრებში თქვენი კარიერა არცთუ დიდი ხნის წინ დაიწყო...


— რაგბის შვიდი წელიწადია ვთამაშობ. თავიდან საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში მოვხვდი. მერე ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი გურამ მოღებამე შეკრებებზე

მატარებდა, გუნდს მაჩვენდა. ორი წლის წინ უკვე კლოდ სორელმა იტალიასთან ტესტ-მატჩში ძირითად შემადგენლობაში დამაყენა — შერკინების მეორე ხაზში ვითამაშე. საერთოდ, იტალიასთან მატჩი საეტაპო გამოდგა ჩვენი გუნდისთვის: დღევანდელი ნაკრების ჩამოყალიბება სწორედ იმ მატჩიდან დაიწყო, საფუძველი მაშინ ჩაეყარა. მერე სორელი მენდო, მესამე ხაზში გადამიყვანა და მას შემდეგ, ავერ უკვე ევროპის ერთა თასის ორი ვთამაშებამიღია, ნაკრებში მუდმივად ვარ.

— ორ წელიწადში დებიუტანტიდან შერკინების ლიდერად იქცეით...

— ვერ ვიტყვი, რომ შერკინების უპირობო ლიდერი ვარ. მერვე ნომრად ვთამაშობ, ესე იგი შერკინებაში ბოლო ვდგავარ. საერთოდ, მერვე ნომრად თამაში ლიდერის თვისებების გამოვლენის საუკეთესო საშუალებას იძლევა. ამ პოზიციიდან მოედანი უკეთ ჩანს, ამიტომ გადაწყვეტილების მიღების და შეტევის გაგრძელების ყველაზე მეტი ვარიანტი მე მაქვს. დაახლოებით ასეა დაცვაშიც: მეტოქის გადაადგილებას ყველაზე კარვად ჩემი ამპლუსის მოთამაშე ხელავს. ამიტომ, მისთვის ხელის შემლა უფრო მიაღვივლებდა.

— მე ვიცნობ თქვენს კლასელებს, ჯგუფელებს, პედაგოგებს. მათგან ვა-



პრ. ალ. ბერიძე

მიგია, რომ სკოლაშიც კარგად სწავლობდით და უნივერსიტეტშიც. პრესტიჟული ფაკულტეტი დაამთავრეთ და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტის დიპლომაც მიიღეთ. არჩევანი დიდი გკონდათ — იურისტობა, დიპლომატობა... თქვენ კი მორაგბეობა გადაწყვიტეთ. ამით ხომ თქვენი პროფესიული კარიერა რამდენიმე წლით შეაჩერეთ?

— სხვათა შორის, სპორტსმენობაც პროფესიაა. დიდხანს და სერიოზულად ვიფიქრე და სულაც არ ვნანობ, რომ ამ ეტაპზე რაგბი ვარჩიე. ისიც გააზრებული მაქვს, რომ ჩემი პროფესიული კარიერა დაახლოებით ათი წლით, ასე ვთქვათ, დავაკონსერვებ. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს მორაგბედ უფრო გამოვადგები. სპორტიდან რომ წავალ, სპეციალობაზე მერე ვიფიქრებ. დარწმუნებული ვარ, რაგბიში მიღებული გამოცდილება მომავალ საქმიანობაში ძალიან დამეხმარება. ვგულისხმობ გადაწყვეტილების სწრაფად მიღების, როული სიტუაციიდან გამოსავლის დროულად პოვნის, ადამიანებთან ურთიერთობის უნარს.

— ოჯახი როგორ შეხვდა თქვენს არჩევანს?

— ოჯახის თითოეულ წევრს ვესაუბრე. ყველამ გამიზიარა აზრი, რჩევა მომცა, საბოლოო გადაწყვეტილება კი მე მივიღე.

— თქვენი უმცროსი ძმაც თამაშობს რაგბის და, როგორც ვიცო, ერთად მიემგზავრებით საფრანგეთში. მანაც მორაგბეობა აირჩია?

— ჩემი ძმა საფრანგეთში ჩემთან იცხოვრებს, ოღონდ ჯერჯერობით მისი უმთავრესი საზრუნავი უნივერსიტეტში სწავლა იქნება. თან იქაურ გუნდშიც ითამაშებს. მერე კი თავად გადაწყვეტს, რომელ საქმეს მოკიდოს ხელი.

— ალბათ, მისი არჩევანიც სწორი იქნება. თქვენ კი იქნებ საქართველოს ნაკრების სამზარეულოში შეგვახედოთ. თუნდაც ის გვითხარით, რა ხდება მატჩამდე 24 საათის განმავლობაში?

— მატჩის წინა დღეს ბოლო ვარჯიშია, რომლის შემდეგაც ყველა მორაგბე, ვინც შეკრებაზე ვართ, დაახლოებით 30 კაცი, თავს ვიყრით და ვითაბირობთ. მწვრთნელები არ გვესწრებიან. ამ დროს ყველას ერთნაირი უფლება აქვს. იქ აღარ არსებობს კაპიტანი, ვებტერანი, ახალბედა... იქ ყველა მორაგბე თანაბარია. ვისაც რა აწუხებს, აინტერესებს, უნდა, მოსწონს, არ მოსწონს — ყველაფერი იქ ითქმება და ირჩევა.

ასე გადის დაახლოებით ერთი საათი. მერე ცალკე მორეინალები ვიყრიბებით, ცალკე — უკანახაზელები და 15-20 წუთის განმავლობაში ტექნიკურ საკითხებს ვარჩევთ. იმავე საღამოს მწვრთნელი კლოდ სორელი ყველას გვკრებს და თამაშის ტაქტიკასა და სტრატეგიას გვაცნობს.

თამაშის დღეს, დღით, სორელი აცხადებს შემადგენლობას — თხუთმეტ ძირი-



ილია ზედვინიძე რაგბის შვიდი წელია თამაშობს

თადს და შვიდ სათადარიგოს. ამის შემდეგ მოთამაშეები უკვე რგოლების მიხედვით ვიყრიბებით. მე მესამეხაზელებთან ერთად ვაზუსტებ ყველა დეტალს, მნიშვნელოვანს თუ წვრილმანს.

— ამ შეკრებების დროს ხომ არ ხდება რამე უთანხმოება, აქედან გამომდინარე შელაპარაკება, კონფლიქტი ხომ არ იჩენს თავს?

— მსგავს რამეს არ შევსწრებივარ. ჩვენი ნაკრები რალაციტო კლუბს ჰგავს, იმდენად კარგ კლუბს, რომ ნებისმიერ ახალმოსულს პირველივე ვარჯიშის შემდეგ შეუძლია გუნდის ცხოვრებაში სრულფასოვნად

ჩართვა. ნაკრებში პირველად რომ მივედი, ვებტერანებსა და ახალბედებს შორის საკმაოდ დიდი დისტანცია იყო. ახლა ეს მოიშალა. თუნდაც ამის გამოც არის დღეს ნაკრების საქმე ბევრად უფრო კარგად ახლა გაცილებით შეკრული გუნდი გვყავს.

— ეს ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ ოცდაათი კაცი ასე ადვილად და მშვიდად პოულობს საერთო ენას...

— ყველაფერი პროფესიონალიზმისკენ მიდის და ჩვენც პროფესიულად აზროვნებას ვსწავლობთ: პირველ ყოვლისა საქმე და მერე პირადი ურთიერთობები. თუ ვინმეს

ვინმე არ უყვარს და მასთან ყოფნა ნაკლებად სიამოვნებს, კეთილი ინებოს და ეს ამბები მოედინოს გარეთ გაარკვიოს. დღევანდელ ნაკრებში დაპირისპირებულებს ვერ ვხვდავ.

— ბოლო ხანს საქართველოს ნაკრები სულ იგებს, მაგრამ წაგებაც არაერთი გვახსოვს. როგორია სორელის რეაქცია წაგებულ მატჩზე?

— იქნებ გაგიკვირდეთ, მაგრამ მოგებულ და წაგებულ მატჩს სორელი ერთნაირად არჩევს. ნებისმიერ შეხვედრას მწვრთნელი აფასებს არა ანგარიშის, არამედ ჩვენი თამაშის ხარისხის მიხედვით. სორელი პირველ ყოვლისა შეცდომებს ეძებს. კარგს არ დაგიკარგავს, მაგრამ შეცდომებს გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევს.

— მოდი, ცოტა წინ გავიხედოთ და თამაში პროგნოზი გავაკეთოთ. დავუშვათ, რომ მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვეთ და 2003 წელს ავსტრალია-ახალ ზელანდიაში გაემგზავრეთ. ხომ იცით, იქ რაც გელით?

— იქ ბევრი რამ გველის. თქვენ რას გულისხმობთ?

— პირდაპირ ვიტყვი: ვერც ჩემპიონები გავხდებით და ვერც პრიზიორები. თქვენი გამოსვლა უფრო მოსალოდნელია, წარუმატებლად შეფასდეს და, რაც იქამდე გააკეთეთ, წყალში ჩაგვეყაროთ...

— გეტანხმებით, ჩემპიონები ან პრიზიორები ვერ გავხდებით. სამომავლო შეფასებებზე და საზოგადოებრივ აზრზეც მიფიქრია. ვფიქრობ, საზოგადოებამ უნდა დაინახოს სინამდვილე. რა ვქნა, არ მომწონს, ჩვენს წარმატებებს რომ აზვიადებენ. იქნებ რაგბის პოპულარიზაციისთვის ეს კარგია, მაგრამ ნაკრების მომავლისთვის უმჯობესია, ჩვენი ძალები რეალურად შეფასდეს.

— თუნდაც ჩვენი შეიდაცა ნაკრების მაგალითზე ვიმსჯელოთ. გუნდი მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე მოხვდა, მათე ადგილი დაიკავა, მაგრამ მისი გამოსვლა წარუმატებლად შეფასდა. განა ცოტაა მსოფლიოში მათე ადგილი გამოუცდელი გუნდისთვის?

— შეფასებების გამო არავის შევედავები, შეიდაცა ნაკრებზე კი გეტყვი, რომ ამ გუნდს ჩვენს ოხუთმეტკაცაზე სწრაფად შეუძლია უძლიერესთა რიგებში მოხვედრა.

მსოფლიოს შეიდაცაში დაახლოებით ასეთი სურათია: სამი გუნდი ცაზა, სამი — ცასა და დედამიწას შორის, მომდევნო ოთხი — მიწაზე, დანარჩენები — მიწის ქვეშ. ჩვენ მიწაზე ვართ, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაღდ შეიდაცას ახლა ვსწავლობთ, სავსებით შესაძლებელია, ცასა და დედამიწას შორის მყოფ გუნდებს გავუთანაბრდეთ. ოღონდ ეს უცბად არ მოხდება, დრო სჭირდება.

— ამას თქვენი თაობაც მოასწრებს თუ ეს უკვე თქვენი მემკვიდრეების საქმე იქნება?

— ჩვენს თაობასაც შეუძლია, ოღონდ ძალიან ბევრი შრომა მოგვიწევს, ბევრი საფეხური გვაქვს გასავლელი. აუცილებლად უნდა გავიდეთ ყოველი მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე. მომავალ თაობას გააფუჭი გზა უნდა დაუტოვოთ. ჩემი აზრით, მომდევნო თაობა ჩვენზე უკეთესია. ამდენად, მას უფრო შეუძლია, სერიოზულ წარმატებას მიაღწიოს.

— ისევ საზოგადოებრივ აზრს დაევბრუნდეთ. ხშირად ამბობენ, რომ 16-17 წლის ბიჭები, რომლებმაც სპორტის სხვა სახეობებში ვერაფერს მიაღწიეს, რაგბიში გადასვლის შემდეგ იოლად იკაფავენ გზას და მოწინავე ადგილებს იკავებენ. აქედან გამომდინარე, თითქოს რაგბის თამა-

ში ადვილია. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

— საქართველოს დღევანდელ ნაკრებში მართლაც თამაშობენ სხვა სპორტიდან და გვიან მოსული ბიჭები: მე წყალბურთელი ვიყავი, ლევან ცაბაძე და მეკლუდ მთიურშივილი — მოჭიდავეები, ვია ლაბაძე — ფეხბურთელი, ვასილ კაცაძე — ხელბურთელი... ახლა ის ვოქვათ, ადრე ჩვენს სახეობაში რამდენი ბავშვთა სკოლა არსებობდა? ძალიან ცოტა, და იქაც მიღება შესწავლული იყო. ცხადია, ყველა მსურველი რაგბიში ვერ ხვდებოდა და მოზრდილთა გუნდებიც სხვა სახეობებიდან მოსულთა ხარჯზე იკვებოდა.

დღეს უამრავი სკოლა მუშაობს, სადაც ბავშვები 8-10 წლიდან პროფესიონალ მორაგებებად იზრდებიან. საინტერესოა, შეძლებენ ცოტა ხნის შემდეგ სპორტის სხვა სახეობიდან გადმოსული ბიჭები რაგბიში იოლად დაწინაურებას? არა მგონია, რადგან მათ დიდი კონკურენციის დაძლევა მოუწევთ. ძნელი იქნება უკვე გამოწვრთნილ-გამოწვრთნილი მორაგბისთვის ადგილის წართმევა. ჩემი და ჩემზე უფროსი თაობების წარმომადგენლებისთვის ამის გაკეთება შედარებით იოლი იყო. დღეს რომ თქვენსემტი წლის ვიყო და რაგბის თამაშს ახლა ვიწყებდე, არა მგონია ნაკრებამდე მისასვლელი ეტაპები დაეძლიო.

— თქვენ ფრანგული რაგბის სტრუქტურას კარგად იცნობთ. საინტერესოა, როგორ მუშაობენ იქაური ბავშვთა სკოლები?

— ამას ცალკე ინტერვიუ დასჭირდება. ერთს კი გეტყვი: საფრანგეთში კლუბი ვერ ითამაშებს მაღალ დივიზიონებში, თუ არა აქვს ბავშვთა სკოლა და არა ჰგავს ბავშვთა გუნდები. ეს კლუბის ვალდებულებაა. წლეულს ერთი კლუბი მეორე დივიზიონიდან რეგონალურ ლიგაში იმის გამო გააძევეს, რომ ბავშვთა სკოლა დახურა. მარტივი ლოგიკაა: თუ იმის თავი არა გაქვს, რომ შენი მომავალი შენვე აღზარდო და სხვების აღზრდილების გადაბირებით გინდა ფონს გაცვლა, მაღალ დივიზიონებში არაფერი გესაქმება.

საფრანგეთში სათამაშოდ რომ ჩავედი, ფიზიკურად გაძლიერებისთვის ძიუდოში დავიწყე ვარჯიში. იქაურმა მწვრთნელმა და ძიუდოსტებმა სულ ზეპირად იცოდნენ ქართველი ფალანგების არა მარტო სახელები და ვეარები, არამედ თითოეული მათგანის საყვარელი ილეთებიც კი. ჩვენს ძიუდოს პატივს სცემდნენ და მეკითხებოდნენ, ასეთი ძლიერები როგორ ხართო. მე ვუპასუხებოდი, რომ საქართველოს ნებისმიერ სოფელში ბიჭის მოჭიდავედ აღზრდა ბავშვობიდან იწყება და ქართული ჭიდაობის, ფალანგობის მაგალითი მომყავდა.

ჩვენშიც კითხულობენ, რატომ არის ფრანგული რაგბი ძლიერი. იმიტომ არის, რომ უმყარეს საფუძველზე — სტრუქტურულად და პედაგოგიურად დახვეწილ ბავშვთა რაგბიზე დგას. აი, როცა ჩვენი ბავშვთა რაგბიც მიუახლოვდება იმავე დონეს, მაშინ მართლა შეიძლება ფიქრი დიდ და სერიოზულ წარმატებებზე.

მერვე ნომრად ვთამაშობ, ესე იგი მერკინებაში ბოლო ვდგავარ — ამბობს ილია ზელგინიძე



პირა ახალაძე





SUPER CUP

Winners

